



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011777329516022

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

15709

28 / იანვარი / 2022 წ.

გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება ყვარლის მუნიციპალიტეტის ჭიკაბანიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მქონე საკადასტრო რუკის საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნების თაობაზე

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 27 იანვარს წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის სისტემური რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრატორთა კოორდინატორის N 50675/17 სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია სარეგისტრაციო ზონა 57 (ყვარლის მუნიციპალიტეტი), სარეგისტრაციო სექტორის N03 (ჭიკაბანიის ადმინისტრაციული ერთეული) სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო რუკების საჯაროდ გაცნობისთვის გამოქვეყნება მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა, მოსარგებლეთა მონაცემების და აგეგმილი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის სავარაუდო ინფორმაციის/ გარემოებების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბლოკში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების დასრულებისთანავე, საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, საჯარო გაცნობისათვის ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილზე, რაც შესაბამის დასახლებაში მცხოვრებ პირებს მისი გაცნობის საშუალებას მისცემს. ამავდროულად მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკადასტრო რუკის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ერთჯერადად მიმართონ სააგენტოს ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებელს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით. ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ უფლებები რეგისტრირდება საკადასტრო რუკაზე ასახული ინფორმაციის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმება.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 57-ე მუხლების, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტისა და მისი განმახორციელებლის განსაზღვრის თაობაზე“ სისტემურ რეგისტრაციას იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N798 ბრძანებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :


1. გამოქვეყნდეს საჯაროდ, სარეგისტრაციო ზონა 57 (ყვარლის მუნიციპალიტეტი), სარეგისტრაციო სექტორის N03 (ჭიკაანის ადმინისტრაციული ერთეული) სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი საკადასტრო რუკები, მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა, მოსარგებლეთა მონაცემების და აგეგმილი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის სავარაუდო ინფორმაციის/გარემოებების მითითებით, სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.napr.gov.ge), ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge/publishing, ყვარლის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.kvareli.gov.ge), ჭიკაანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვარლის მერის ნარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე;

2. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს N2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას და ეთხოვოს აღნიშნული ინფორმაციის განთავსება საკუთარ ვებგვერდებზე;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამვანდარსულია
ელექტრონულად 

ლაშა ექიბაშვილი